სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა–ტექნიკისინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს

შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ- თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად:

არატრადიციული ენერგეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ – თანამშრომელი

ადგილების რაოდენობა - 1.
თანამდებობრივი სარგო - 1863 ლარი.
სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.
გამოსაცდელი ვადა - 6 თვე.

კონკურსის პირობები:
<u>კონკურსანტს</u> <u>უნდა</u> <u>ჰქონდეს:</u>
1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. ლაბორატორიის მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 6 წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.
კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ / ან მითითებულ ელ-ფოსტაზე (**xlomidze@sipt.org.ge**) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:
1. განცხადება (განცხადების ფორმა)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
8. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
9. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა;
10. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).
– საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, მისამართზე ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. 7, ოთახი 629 ან ელექტრონულად ელ ფოსტაზე: **xlomidze@sipt.org.ge** 2026 წლის 17 მარტს - 10 საათიდან 18 საათამდე

– კონკურსი გაიმართება 18 მარტს

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი:
ხათუნა ლომიძე
ტელეფონი 599959913